

ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის  
N26-27-28 ოთახებზე, მოქალაქე ეთერი გულორდავასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ხარებავას ქუჩა N5ა/26-27-28 ოთახებში მცხოვრები მოქალაქე ეთერი გულორდავას განცხადება /2013 წლის 06.11 Nგ-11435/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის N26-27-28 ოთახები/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის N26-27-28 ოთახებზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ეთერი გულორდავას /პირადი N60003005479/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის N26-27-28 ოთახებზე, საერთო ფართობი 46,05 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 46,05 კვ.მ./ მოქალაქე ეთერი გულორდავას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალე პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

გ.შარაბიძე